ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4255394

ნომერი: AR1641536

თარიღი : 01.11.2018

გაცემის თარიღი : 08.11.2018

გაცნობის თარიღი : 08.11.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, დავარის ქუჩა, N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ჯანჯალია პ/ნ 01008037768
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძეს ქუჩა, N 20, ბინა 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 ოქტომბრის №4216003 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 01 ნოემბერს №AR1641536 განცხადებით მომართეს ქეთევან ჯანჯალიამ და თორნიკე შანიძემ. განმცხადებლებმა

მოითხოვეს 2018 წლის 12 ოქტომბრის №4216003 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 12 ოქტომბრის №4216003 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.72.14.035.801), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2018 წლის 24 ოქტომბრის № 4229137 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, შპს „კრეატივ ქონსთრაქშენ“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 405238899) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.72.14.035.801), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 24.10.2018 წლიდან 24.08.2019 წლის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 ოქტომბრის №4216003 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ცვლილების შეტანას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ: საერთო ფართობად 5716.2 კვ.მ-ის ნაცვლად 5219.9 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 4397.0 კვ.მ-ის ნაცვლად 3811.9 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 342.0 კვ.მ-ის ნაცვლად 316.6 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 371.7 კვ.მ-ის ნაცვლად 498.8 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 605.5 კვ.მ-ის ნაცვლად 592.6 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 ოქტომბრის №4216003 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 ოქტომბრის №4216003 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 5219.9 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 3811.9 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 316.6 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 498.8 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 592.6 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 ოქტომბრის №4216003 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 12 ოქტომბრის №4216003 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.